

აუტსაიდერებსაც აქვთ ბრწყალები

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 31 ოქტომბერი. მზიანი ამინდი. 18 გრადუსი. 36 000 მაყურებელი.

“დინამო” (თბილისი) - სკა (ოდესა) 1:0 (0:0).

“დინამო”: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ჭელიძე, ხურცილავა, ცხოვრებოვი, ხართიშვილი, ილიაძე, მეტრეველი, ბარქაია, იამანიძე, მესხი.

სკა: გრიშკოვი (ვოლიუჩენკოვი -56), ზახაროვი, არისტოვი, გრებენიუკი, პანოვი, კაჩკუროვი, სპირიდონოვი, ზავერიუხა, პრიგოროვო, სეკეჩი (საპრიკინი-56), ნემიროვსკი.

მსაჯი ჰ. სტრენცისი (რიგა); გვერდითი მსაჯები ა. ზენსი (ორივე რიგა), ვ. ანდრიანოვი (ნოვოროსიისკი).

სწორედ მაშინ, როცა მიმდინარეობდა მატჩის მეორე ნახევარი, დიქტორმა გამოაცხადა ქუთაისის “ტორპედოსა” და კიევის “დინამოს” შეხვედრის შედეგი: - 1:0 ქუთაისელთა სასარგებლოდ.

დაახლოებით ასეთივე სურათი სუფევდა თბილისის სტადიონზეც: ყველაზე უფრო უნუგემო მდგომარეობაში მყოფი ოდესის არმიელთა გუნდი, რომელსაც დიდი ხანია გარანტირებული აქვს ადგილი II ჯგუფში, ჩემპიონის წინააღმდეგ თამაშობდა მთელის მონდომებით და, ფაქტიურად, არაფერს უთმობდა თავის მრისხანე მეტოქეს. ეტყობა, აუტსაიდერებმა გადაწყვიტეს მაინცდამაინც 31 ოქტომბერს ეჩვენებინათ, რომ მათაც შესწევთ უნარი გამოაჩინონ “ბასრი ბრწყალები”.

ასეა თუ ისე, თბილისის “დინამოს” ძალზე გაუჭირდა მატჩის მოგება და ამაში არმიელთა დიდი ენთუზიაზმის გარდა თვით ჩვენი ფეხბურთელებიც არიან დამნაშავე: გუნდმა ძალიან ცუდად ჩაატარა შეხვედრა.

სადავო არაა: საერთო ინიციატივა დინამოელებს ეპყრათ და სტუმრებიც უმთავრესად თავიანთ საჯარიმო მოედნის მახლობლად აწარმოებდნენ ბრძოლას. მაგრამ ტერიტორიული უპირატესობა ერთია, ხოლო მისი რეალიზაცია - სულ სხვა. რა ფასი აქვს შეტევას, ერთს, ორს, ათს, თუ მას შედეგი არ მოჰყვება. თბილისელთა განთქმული ფორვარდები და მათი ახალგაზრდა კოლეგები ნახევარდაცვის რგოლიდან იერიშს იერიშზე აწარმოებდნენ. მათ დროდადრო მცველებიც ეხმარებოდნენ. მეტოქის კარი კი “საღსალამათი” რჩებოდა. კიდევ მეტიც - იქ საკმაო ხნის მანძილზე არ შექმნილა არც ერთი სახიფათო მდგომარეობა.

სამაგიეროდ, ოდესელთა რამდენიმე საპასუხო შეტევიდან ორი კინაღამ გოლით დამთავრდა: ჯერ ნემიროვსკი აღმოჩნდა კარის წინ თავისუფალ პოზიციაში და სულ ოდნავ ააცილა კარს, მე-9 წუთზე კი პანოვი შემოიჭრა საჯარიმო მოედანში, მაგრამ ეს გაბედული რეიდი ბოლო წამს ჩაშალა ცხოვრებოვმა.

თბილისელებმა ანგარიშის გახსნის რეალური შანსი მიიღეს 55-ე წუთზე, როცა მსაჯმა სტუმრების კარში დანიშნა 11-მეტრიანი საჯარიმო. გუნდის პენალტისტმა მეტრეველმა კარგად ვერ გამოზომა დარტყმა და... ბურთი კარს ააცილა!

მატჩი თითქმის დასასრულს უახლოვდებოდა, დარჩენილი იყო სულ რაღაც 14 წუთი, როცა დინამოელებს მიეცათ თავისუფალი დარტყმის უფლება. იამანიძემ და

მესხმა სწრაფად გაითამაშეს ბურთი, ამ უკანასკნელმა ძლიერად დაარტყა და არმიელთა კარიც “დაეცა” - 1:0.

ასე, რის ვაინაჩრობით შეძლო თბილისის “დინამომ” 2 ქულის აღება უკანასკნელ ადგილზე მყოფ გუნდთან ორთაბრძოლაში.

რ. ქორიძე.

“ლელო”, 2 ნოემბერი, 1965 წ.

დუბლიორები — 2:1 ოდესელების სასარგებლოდ. გოლები გაიტანეს: საპრიკინმა და სატაევმა (სკა), ასათიანმა(დინამო)

დამატებითი მონაცემები “სოვეტსკი სპორტიდან” 2.11.65